



## წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

N 36 25

### განკარგულება

27/02/2020

#### წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის მიერ 2019 წელს გაწეული მუშაობის შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ მოისმინა კულტურის, განათლების, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის ანგარიში 2019 წელს გაწეული მუშაობის შესახებ (თან ერთვის).

აღინიშნა, რომ წარმოდგენილი ანგარიში შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან და სათანადო დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის 'ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის' 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის N36 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 26-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის ანგარიში 2019 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.
2. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის მიერ 2019 წელს გაწეული მუშაობა შეფასდეს დადებითად.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ქუთაისი, კუპრადის ქ. №11).

პაატა ახალაძე

საკრებულოს თავმჯდომარის მ.შ



წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

## ა ნ გ ა რ ი შ ი

### წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის მიერ 2019 წელს გაწეული მუშაობის შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია წარმოადგენს საკრებულოს მუდმივმოქმედ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტი და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის დებულებით განსაზღვრულ უფლებამოსილებათა განხორციელებას. კომისია შექმნილია საკრებულოში საკითხების წინასწარი მომზადების და გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ხელის შეწყობის მიზნით. კომისიის პერსონალური შემადგენლობაა: კომისიის თავმჯდომარე - თენგიზ ნიჟარაძე; წევრები - გიორგი დოლიძე, ვლადიმერ ხურცია, შალვა კილაძე, ირაკლი გვანცელაძე, ბადრი პაპავა, დავით თუთბერიძე, ავთანდილ მოწონელიძე, ომარ სინაურიძე.

კომისია მუშაობას წარმართავს სამუშაო გეგმის მიხედვით. ასევე, განიხილავს საკრებულოში შემოსულ რიგგარეშე საკითხებს.

კულტურის, განათლების, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია კოორდინირებულ მუშაობას ახორციელებს საკრებულოს კომისიებთან, მუნიციპალიტეტის მერიასთან და შესაბამის სამსახურებთან. კომისია თავისი კომპეტენციის ფარგლებში საკრებულოს სხდომისთვის ამზადებს საკრებულოს გადაწყვეტილებათა პროექტებს, დასკვნებს, წინადადებებს, რეკომენდაციებს და წარუდგენს საკრებულოს ბიუროს. განიხილავს წერილებს, რის თაობაზეც, არსებული წესით, მოახსენებს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს, ბიუროსა და საკრებულოს სხდომებს. საქართველოს კანონმდებლობით, საკრებულოს რეგლამენტი და კომისიის დებულებით ახორციელებს მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

საკრებულოს კულტურის, განათლების, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ 2019 წელს ჩაატარა 15 სხდომა, სადაც განხილული იქნა 26 საკითხი. კერძოდ:

#### **25 იანვარი -**

1. ა(ა)იპ „საფეხბურთო კლუბი სამგურალი“-ს მიერ 2018 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.
2. სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ოფშკვითის საჯარო სკოლისათვის დავით ნიჟარაძის სახელის მინიჭების შესახებ, თანხმობის გაცემის თაობაზე.

#### **18 თებერვალი -**

1. ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი“-ს მიერ 2018 წლის III-IV კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.

#### **25 მარტი -**

1. ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების“ მიერ 2018 წლის III-IV კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.
2. ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრი“-ს მიერ 2018 წლის III-IV კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.
3. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის 2019 წლის მეორე კვარტლის სამუშაო გეგმის შესახებ.

#### **22 აპრილი -**

1. ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი“-ს მიერ 2018 წლის III-IV კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.

2. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის მიერ 2018 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

3. სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ წყალტუბოს საჯარო სკოლისათვის ნიკოლორთქიფანიძის სახელის მინიჭების შესახებ, თანხმობის გაცემის თაობაზე.

#### **31 მაისი -**

1. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის მიერ 2018 წლის III-IV კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.

2. სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ წყალტუბოს საჯარო სკოლისათვის ნიკოლორთქიფანიძის სახელის მინიჭების შესახებ, თანხმობის გაცემის თაობაზე (საკითხის განმეორებით განხილვა).

#### **27 ივნისი -**

1. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ დამტკიცებული წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2016-2017 წლების ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტის ანგარიშის შესახებ.

2. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის 2019 წლის მესამე კვარტლის სამუშაო გეგმის შესახებ.

#### **25 ივლისი -**

1. ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი“-ს მიერ 2019 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.

#### **7 აგვისტო -**

1. სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ფარცხანაყანევის №2 საჯარო სკოლისათვის მამია ფანცულაიას სახელის მინიჭების შესახებ, თანხმობის გაცემის თაობაზე.

#### **30 აგვისტო -**

1. ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების“ მიერ 2019 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.

#### **27 სექტემბერი -**

1. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის 2019 წლის მეოთხე კვარტლის სამუშაო გეგმის შესახებ.

#### **9 ოქტომბერი -**

1. სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გუმბრინის საჯარო სკოლისათვის გოჩა წულაიას სახელის მინიჭების შესახებ, თანხმობის გაცემის თაობაზე.

#### **30 ოქტომბერი -**

1. ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრი“-ს მიერ 2019 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.

2. ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი“-ს მიერ 2019 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.

3. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გეგუთის კულტურის სახლისათვის ლია ხოტივარის სახელის მინიჭების შესახებ.

#### **20 ნოემბერი -**

1. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვის შესახებ.

#### **29 ნოემბერი -**

1. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის მიერ 2019 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.

2. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გეგუთის კულტურის სახლისათვის ლია ხოტივარის სახელის მინიჭების შესახებ, მიზანშეწონილობის თაობაზე.

#### **26 დეკემბერი -**

1. ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანების“ მიერ 2018 წლის III-IV და 2019 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.

2. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის 2020 წლის პირველი კვარტლის სამუშაო გეგმის შესახებ.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით, 20 ნოემბრის სხდომაზე გამოთქმული რიგი შენიშვნები და წინადადებები, შემდგომი რეაგირებისათვის, წერილობით ეცნობა საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელს. კერძოდ:

1. ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი“ -
    - ა) საკონცერტო დარბაზ ივერიის თანამედროვე გახმოვანების აპარატურის აღჭურვისათვის შესაბამისი თანხის გათვალისწინება.
    - ბ) ბიჭუნათა ფოლკლორული ანსამბლისათვის სახელფასო ფონდის გათვალისწინება.
  2. ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი“ -
    - ა) ქართული საბრძოლო ხელოვნების „ხრიდოლის“ ჯგუფისათვის სახელფასო ფონდის გამოყოფა.
    - ბ) ნორჩ-ტექნიკოსთა ჯგუფისათვის სახელფასო ფონდის გამოყოფა.
    - გ) 60მ<sup>2</sup> ფართის მქონე მცირე დარბაზის მოწყობისათვის შესაბამისი ფინანსების გამოყოფა.
  3. ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანება“ -
    - ა) მთავრობის დადგენილების შესაბამისად, ს/ბაღების ეზოების მოწყობისათვის ფინანსების გამოყოფა.
    - ბ) ს/ბაღებისათვის სარეცხი მანქანების შეძენა და მრეცხავის თითო საშტატო განაკვეთისათვის შესაბამისი ფინანსების გამოყოფა.
  4. ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრი“-ს თანამშრომლებისათვის ხელფასების მატება.
  5. ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანება“ -
    - ა) წყალტუბოს სპორტული დარბაზის სახურავის შეცვლისათვის ფინანსების გამოყოფა.
- კომისიის სხდომებზე განხილული თითქმის ყველა პროექტი მომზადებულად იქნა მიჩნეული ბიუროსა და საკრებულოს სხდომებზე განხილვისათვის. რიგ შემთხვევაში, სხდომაზე დასმულ კითხვებთან დაკავშირებით, შესაბამისი სამსახურების მიერ წარმოდგენილი იქნა დამატებითი ინფორმაციები.
- ზემოთ განხილულ საკითხებთან დაკავშირებით, საკრებულოს აპარატის იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებების დაცვის განყოფილებასთან ერთად მომზადებული სამართლებრივი აქტის პროექტები და სხდომაზე მიღებული კომისიის დასკვნები, გატანილი იქნა ბიუროსა და საკრებულოს სხდომებზე განსახილველად და საკრებულოს მიერ მიღებული იქნა შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები.
- ამავე პერიოდში განხილული იქნა სხვადასხვა შინაარსის განცხადება. რიგი წერილებისა განსახილველად გადაეგზავნა მუნიციპალიტეტის მერიას და მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ ეცნობა განმცხადებლებს.
- კომისია განაგრძობს მუშაობას კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

პაატა ახალაძე



საკრებულოს თავმჯდომარის მ.შ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო